უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№5 (84) 2018

უცხოელი სტუდენტები უნივერსიტეტში

მარგის ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტთა მორიგ ნაკადს მიესალმნენ. ერასმუს + –ის, მევლანას და ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ჩამოსული 25 სტუდენტი თსუ-ში 2017-2018 აკადემიური წლის გაგაფხულის სემესტერის განმავლობაში ისწავლის. მათ შორის არიან სტუდენტები გერმანიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესტონეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან, ლიტვიდან, ფინეთიდან. ჩვენ რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

გისენის (გერმანიის ფედერაცია) იუსტუს ლიბეგის უნივერსიტეტის სტუდენტი ანიკა შვემენი გარემოს დაცვის მენეჯმენტის, კვებით და სოფლის მეურნეობის მეცნიერებების ფაკულტეტს წარმოადგენს. ანიკა გაცვლითი სტუდენტის სტატუსით საზღვარგარეთ პირველადაა. საქართველოში თავის საბაკალავრო კვლევისთვის ჩამოვიდა. აინტერესებს, თუ როგორ იყენებს საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა, პესტიციდებს სოფლის მეურნეობაში. მართალია, საქართველოში ეს მისი პირველი ვიზიტია, მაგრამ უკვე იცის, რომ ბოლო არ იქნება. კვლევებს იმაზე,

გაგრძელება მე-3 გვ.

100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი დაიწყო.

ლექციათა ციკლი გახსნეს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ საჯარო ლექციით – „საუნივერსიტეტო განათლება საქართველოში“ და თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა – „პირველი ქართული უნივერსიტეტი 1918-1921“.

„ერთი თვის მანძილზე გვექნება ღია ფორმატის საჯარო ლექციების ციკლი. აღსანიშნავია, რომ პირველი საჯარო ლექცია დაემთხვა ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს. ინტერესი მაღალია და იმედია ბევრი მოსწავლე, რომელიც ესწრება ამ ღონისძიებებს, მომავალში გახდება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი“, – განაცხადა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

უნივერსიტეტის იდეის დაბადებაზე, დამფუძნებელთა საქმიანობაზე, სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ურთიერთობაზე ისაუბრა საჯარო ლექციაზე თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა. მისი თქმით, „ეს წელი გამორჩეულია, რადგან

გაგრძელება მე-2 გვ.

საბავშვო უნივერსიტეტი და ადამიანები, ვინც მოსწავლეებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას აგზიარებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტი უკვე წლებია რაც უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა პროექტს სკოლის მოსწავლეებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ აქტივობებს შორის მოსწავლეებისთვის საინტერესო ლექციებიცაა, რომელზეც ბავშვებს რთულ საკითხებზე მარტივად ესაუბრებიან. ყველა ამ ღონისძიებაში, ახალგაზრდა მაგისტრებისა და დოქტორანტების პარალელურად, აქტიურად არიან ჩართული დიდი სტაჟისა და სამეცნიერო წოდებების მქონე პროფესორ-მასწავლებლები. მათგან ჩვენ დღეს ორ ლექტორს გამოვყოფთ, ზოგადი ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგეს, ფიზიკის აკადემიური დოქტორს, იური პაპავასა და თსუ მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგეს, ქიმიის დოქტორს, საბავშვო უნივერსიტეტის ქიმიის კოორდინატორ ელიზა მარქარაშვილს.

ფიზიკოსი იური პაპავა ის ლექტორი იყო, საბავშვო უნივერსიტეტის დაფუძნებისას (2003 წელს) პირველი ლექცია რომ ჩააგარა. ლექციის თემა: „წესრიგი და უწესრიგობა ბუნებაში“ იყო. როგორც იგი იხსენებს, ფიზიკის დიდ აუდიტორია დამსწარეებით სავსე გახლდათ. ამ დროიდან მოყოლებული საბავშვო უნივერსიტეტში არაერთხელ მოუწია ლექციის წაკითხვა, მათ შორის რეგიონში, როდესაც განათლების სამინისტროს კონკურსში – ლექციები ფიზიკაში რეგიონებისთვის გაიმარჯვა და საქართველოს 5 სხვადასხვა რაიონში დადიოდა ლექციების ჩასაგარებლად.

„ამ პერიოდიდან მოყოლებული ბევრი სასიამოვნო მომენტი მახსოვს. მაგალითად, სხვა სკოლების მსგავსად, ოზურგეთის ერთ-ერთ სკოლაში, გამორჩეულ ბავშვებს რაღაც პრიზებს, წიგნებს ვაძლევდით. ერთ-ერთი წიგნი ჩემი – „საბავშვო ენციკლოპედიის ფიზიკის“ ტომი გახლდათ. ორი წლის მერე მაშინ დაჯილდოებული ბიჭი პირველ კურსზე გამოგვეცხადა ჯგუფში. ძალიან გამიხარდა, რომ დავინახე. გამრდილიყო, მაგრამ როგორც კი დამინახა, მაშინვე მიცნო. ბავშვებთან ურთიერთობა მარგო მათთვის კი არა, ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშვებთან ურთიერთობა გამდიდრებს და სგიმულს გაძლევს. საამისოდ დრო ნამდვილად არ მენანება, არ ვფიქრობ, რომ დაკარგულია.

ახლა ბოლო გასვლა ქობულეთში გვქონდა. ლექციები, კონკურსის – „რა, სად, როდის“ სტილში ჩავატარეთ. ამ კონკურსის დროს კაპიტნების შეჯიბრი იყო. ერთი უფროსკლასელი ბიჭი იყო, მეორე უფრო დაბალი კლასიდან. ქიმიიდან კითხვაზე პასუხი ორივემ დაწერა. დაბალკლასელმა უპასუხა, უფროსკლასელმა კი დაწერა რაღაც, მაგრამ თქვა, რომ პასუხი არ ჰქონდა. მერე კი აღმოჩნდა, რომ ჰქონდა სწორი პასუხი, რომელიც არ გააჟღერა. „თუ ჩემზე უმცროსს სწორი პასუხი ექნებოდა, მივეცი საშუალება რომ მას გამოეჩინა თავიო.“ ასე განმარტა თავისი გადაწყვეტილება. ეს შემთხვევა მიუთითებს, რომ გარდა აკადემიური ცოდნისა, იმ სკოლაში რაღაც სხვა ღირებულებებსაც უყალიბებენ ბავშვებს“, – ამბობს იური პაპავა.

მისი შეფასებით, რამენიმე მიზეზი არსებობს, რაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს საბავშვო უნივერსიტეტში იზიდავს. პირველი, ლექციებში თანხა რომ არ არის გადასახდელი. თუმცა, ძირითადი მოგივაცია მისი აზრით, მაინც ისაა, რომ აბიტურიენ-

გაგრძელება მე-2 გვ.

ბავშვები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სახალისო-შემეცნებითი კვირეული – „ბავშვები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში“ გაიხსნა.

23 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით, თსუ ბიბლიოთეკამ უმასპინძლა თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს. ცნობილმა ქართველმა ლიტერატორებმა და მხატვრებმა მოსწავლეებთან ერთად წაიკითხეს ზღაპრების და დახატეს საყვარელი პერსონაჟები.

ბავშვებს შეხვდა და ღონისძიება გახსნა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. „წიგნის საერთაშორისო დღეს უნივერსიტეტში ბავშვებს დავახვედრეთ საინტერესო პროგრამა, პრიზებით, თამაშებით. ისინი გაეცნობიან ბიბლიოთეკას და იმედია, მომავალშიც განაგრძობენ უნივერსიტეტთან მეგობრობას“.

ღონისძიებათა ციკლის პირველ დღეს მოსწავლეებმა მოისმინეს მწერალ დიანა ანფიმიადის ზღაპრები, რომელიც მწერლის და მისი შვილის ერთობლივი ნაწარმოებია. ავტორისთვის ეს დღე სიმბოლურია,

გაგრძელება მე-3 გვ.

სასწავლო კურსები თსუ უწყვეტი განათლების ცენტრისგან

გვ. 3

საუნივერსიტეტო დაფინანსება სტუდენტებისთვის

2017-2018 სასწავლო წლის გაგაფხულის სემესტრში სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის 163 მაღალრეიტინგულ სტუდენტს გადაეცა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი 36 260 ლარი 88 მაგისტრანტზე გადანაწილდა. დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდა წინა სემესტრში სტუდენტთა აკადემიური შედეგების, სამეცნიერო აქტივობების და შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის საფუძველზე.

სტუდენტთა აკადემიური შედეგების საფაკულტე-

გვ. 2

„უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები“

პირადი გამოცდილებით გამყარებული სადოქტორო კვლევა თსუ-ს მკვლევარის ავტორობით

გვ. 2

თსუ სტუდენტების წარმატება საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში

გვ. 2

სტუდენტური კონკურსი „მისია 2018“ დაიწყო. ჟიურიმ უკვე გამოავლინა 5 ფინალისტი გუნდი.

გვ. 4

„შექმენი სტარტაპი ფაბლაბთან ერთად“

თსუ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიამ და ბიზნეს-ინკუბატორმა ერთობლივი პროექტი „შექმენი სტარტაპი ფაბლაბთან ერთად“ განახორციელეს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სტუდენტებს ჩაუტარდათ ვორქშოფი: „ფაბლაბი: ტექნოლოგიები და შესაძლებლობები“ .

ვორქშოფის მთავარი მიზანი თსუ სტუდენტებისთვის მაღლივ კორპუსში განთავსებულ ფაბლაბში არსებული ტექნოლოგიებისა და გამოყენების სპეციფიკის გაცნობა იყო. ვორქშოფში მონაწილეობის მიღება თსუ ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს შეეძლო, თითოეული ფაკულტეტისთვის პროექტით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სასემინარო დღე.

პროექტის ავტორების თქმით, ვორქშოფმა სტუდენტებს საშუალება მისცა მოეხდინათ საკუთარი ინოვაციური ბიზნეს იდეების გენერირება და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის დახმარებით, პრაქტიკულად განხორციელება.

საუნივერსიტეტო დაფინანსება სტუდენტებისთვის

პირველი გვერდიდან

ტო რეიტინგული მონაცემები (ყველა ჩაბარებულ საგანში მინიმუმ 81 ქულისა და მეტის საშუალო არითმეტიკული) დაანგარიშდა 100 ქულიანი სისტემით. აკადემიური შედეგებისა (90-100) ქულა და სამეცნიერო აქტივობების გათვალისწინებით დაფინანსება განხორციელდება სწავლის სემესტრული გადასახადის 1406,25 ლარის 37.33%-ი, კერძოდ 525 ლარის ოდენობით. 95-100 ქულის შემთხვევაში – 450 ლარის ოდენობით; 90-95 ქულის შემთხვევაში – 400 ლარით; მხოლოდ აკადემიური შედეგების გათვალისწინებით 81-90 ქულამდე 300 ლარის ოდენობით.

დაფინანსება არ შეეხებია სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის, ან სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სხვა სახის სრული დაფინანსების მქონე მაგისტრანტებს.

ბუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა განაწილდა მაგისტრატურის აქტიურ სტუდენტებზე, რომელთა გასულ სემესტრში მიღებული შეფასების სამუალო არითმეტიკული/სპეციალობის გამოცდის ქულა მეტია ან ტოლია სემესტრულ საშუალო ქულაზე/სპეციალობის გამოცდის საშუალო ქულაზე; ამასთანავე, თითოეული სტუდენტი დაფინანსდა გასულ სემესტრში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული/სპეციალობის გამოცდის ქულის წილის შესაბამისად; მოხდა თანხის სკალირება ფაკულტეტისთვის გამოყოფილი თანხის მიხედვით.

ბუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სულ დაფინანსდა 75 მაგისტრანტი, თითოეულ მათგანი სემესტრული 400 ლარიდან 700 ლარამდე ოდენობის თანხით დაფინანსდა.

ეს არ არის ერთჯერადი აქტი და უნივერსიტეტში დღეს სხვადასხვა ტიპის საუნივერსიტეტო და სპონსორული დაფინანსებები მოქმედებს.

მაგალითად, გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეროვნული ლაგარეასა და თსუ-ს შორის დადებულ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ლაგარიამ თსუ ერთი მაგისტრანტი და ერთი დოქტორანტის სწავლა დააფინანსა.

თსუ სტუდენტების წარმატება საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის სტუდენტებისგან შექმნილმა გუნდმა ვაშინგტონში (აშშ) ფილიპ ჯესაპის სახელობის 59-ე საერთაშორისო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესზე წარმატებას მიაღწია.

თსუ-ს გუნდი, რომელიც ეროვნულ რაუნდებში მიღწეული შედეგით ვაშინგტონში საქართველოს წარმოადგენდა, 95 ქვეყნის 121 გუნდიდან საუკეთესო 16 გუნდს შორის მოხვდა (ბეპირ გამოსვლებსა და წერილობითი კომპონენტში მიღებული ჯამური შეფასების საფუძველზე); ხოლო გუნდის წერილობითი პოზიციის დოკუმენტები (მემორიალები) განმცხადებლისა და მოპასუხის მემორილების ჯამური ქულით საუკეთესო 20 მემორიალს შორის მოხვდა, კერძოდ გავიდა მე-17 ადგილზე და შედეგად გუნდმა Alona E. Evans-ის ჯილდო მიიღო.

2017 წლის გაზაფხულის სემესტრის დასასრულს, აკადემიკოს ღევან ალექსიძისა და პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ხელმძღვანელობით თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ, ორი საბაფხულო სკოლის ფარგლებში, შეირჩა და მომზადდა საერთაშორისო სამართლის ცნობილი მეცნიერის ჯესაპის სახელობის საერთაშორისო იმიტირებული პროცესების კონკურსში მონაწილე გუნდი. გუნდის წევრები იყვნენ საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტები – გიორგი ბაიძე, ნანუკა ყრუაშვილი და თამთა შამათავა, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი – ნინო გოშხეთელიანი და მწვრთნელი, დოქტორანტურის სტუდენტი – თამთა ბაალიშვილი.

თსუ სტუდენტებმა ეს გამარჯვება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიუძღვნეს.

100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი თსუ-ში

პირველი გვერდიდან

წელს არის უნივერსიტეტის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავი, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღე, ასევე წიგნის საერთაშორისო დღე. სწორედ ამიგომ, წელს ამ ღონისძიებებს განსაკუთრებული მასშტაბი აქვს“.

საუნივერსიტეტო ღონისძიებათა ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას უმასპინძლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმმა, სადაც გამოფენილი იყო იშვიათი რარიტეტები, ფოტოდოკუმენტური და მემორიალური ნივთები, რომელიც ასახავს მეცნიერისა და უნივერსიტეტის დამაარსებლის მრავალმხრივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მუზეუმის დირექტორის მაია გურაბანიძის თქმით „ექსპოზიციაზე გამოფენილია ივანე ჯავახიშვილის მემორიალური ნივთები - ოჯახური ალბომი, მისი ხელით დაწერილი უნივერსიტეტის წესდება, პირადი მოხმარების საგნები“.

ლექციათა ციკლი თსუ-ში ერთი თვის მანძლზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღემდე, 26 მაისამდე გაგრძელდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები სოჯარო სკოლის მოსწავლეებს, საზოგადოების წარმომადგენლებს ქვეყნის დამოუკიდებლობის და განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს გააცნობენ.

„უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები“

პირადი გამოცდილებით გამყარებული სადოქტორო კვლევა თსუ-ს მკვლევარის ავტორობით

პირველი გვერდიდან

„უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები და პროფესიული არჩევანი (პროფესიული განათლების მაგალითზე)” – ასე ჰქვია სადისერტაციო თემას, რომელშიც თსუ მკვლევარმა ზაზა ადანაიამ, საკუთარ მაგალითზე დაყრდნობითაც, სპეციალური საჭიროებების ადამიანების საგანმანათლებლო პრობლემები შეისწავლა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების დარგობრივმა სადისერტაციო საბჭომ ზაზა ადანაიას განათლების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი უკვე მიანიჭა. ის ერთ-ერთი მეცნიერებათა დოქტორია, რომელმაც ბოლო წლებში თსუ-ში დისერტაცია დაიცვა ისე, რომ მხედველობასთან დაკავშირებულ პრობლემებს არ შეუშინდა.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე მკვიდრდება მნიშვნელოვანი ტენდენცია – სპეციალური პედაგოგიკის მიმართულებით მომუშავე დოქტორანტების კვლევითი ინტერესები ეყრდნობა მდიდარ დარგობრივ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მნიშვნელოვანია სპეციალური პედაგოგიკის დარგის განვითარებისათვის. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამა გამოირჩევა სპეციალური საჭიროების მქონე დოქტორანტთა ჩართულობითაც.

საკუთარ გამოცდილებაზე იგი თავად გვიყვება:

ზაზა ადანაია – „თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ კურსის სრულად გავლისათვის სამი წელი დამჭირდა. დისერტაცია, წელს, 23 იანვარს დავიცავი. დარწმუნებული ვარ, სამი წლის შემდეგ, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობა მექნება, დოქტორანტურაზე სწავლის დრო ისევე კეთილად გამახსენდება, როგორც იმავე უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტობის ხანა. ახლა კი, ვიდრე შთაბეჭდილებები არ განელებულა. თსუ-დან კეთილგანწყობა ყოველთვის იყო განუსაზღვრელი, ხელშეწყობა კი, სწორედ იმდენი, რამდენსაც ობიექტურად ვსაჭიროებდი. უნივერსიტეტში სასწავლო ფიზიკური გარემო მნიშვნელოვანი ფაქტორია ზოგადად ყველასთვის და განსაკუთრებით კი – ჩემთვის, რადგან მაქვს მკვეთრად გამოხატული მხედველობის შეზღუდვა. ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკური გარემო არ არის ადაპტირებული მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანების საჭიროებების შესაბამისად. კარგი იქნებოდა, ტექნიკურად სავსებით შესაძლებელია თსუ ყველა შენობის შიდა ინფრასტრუქტურის ვირტუალური გზამკვლევის გაკეთება ისეთ ფორმატში, რომ მოსახერხებელი იყოს მისი აგვირთვა მობილური კავშირის აპარატებში.

უსინათლოების დიდი უმრავლესობისათვის, ღეისთვის, ხელმისაწვდომია, როგორც მობილური კავშირის აპარატების, ასევე კომპიუტერული პროგრამებისა და ტექნიკის გამოყენებაც, ხოლო ამგვარი ვირტუალური გზამკვლევების არსებობის შემთხვევაში, მათ საგრძნობლად გაუადვილდებათ შენობებში დამოუკიდებლად ორიენტაცია.

„განათლების მეცნიერებების“ პირველ უსინათლო დოქტორს გურანდა ჯამათაშვილს, რომელიც იმ დროისათვის ამავე ფაკულტეტის დოქტორანტი გახლდათ, 2014 წელს ქალბატონმა ქეთევან ჭკუასელმა შესთავაზა, დოქტორანტურაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, გაეწია რეკომენდაცია შესაბამისი მომზადებისა და ინტერესების მქონე უსინათლო პირისათვის. შესაფერი კანდიდატურა რაგომღაც მე აღმოვჩნდი. ჩემი სადისერტაციო ნაშრომის თემა გახლავთ: „უსინათლო აბიტურიენტების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო საჭიროებები და პროფესიული არჩევანი (პროფესიული განათლების მაგალითზე)“. თემა დოქტორანტურაზე სწავლის დაწყებისთანავე განისაზღვრა და მას ცვლილება აღარ განუცდია. ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ისიც იყო, რომ მქონდა ზრდასრული უსინათლოების განათლებასთან დაკავშირებით პრაქტიკული საქმიანობის გარკვეული გამოცდილება და დაინტერესებული ვიყავი უსინათლოთა პროფესიული განათლების განვითარების საკითხით.

მუშაობის პროცესში გამოიკვეთა პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა ინკლუზიის შემაფერხებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და დაისახა ამ პრობლემების მოგვარების შესაძლო გზები. დისერტაციის დაცვის დღეს სიამოვნებით ვიხსენებ. იმ დღეს კი, როცა დაცვა შედგა (და როგორც მეუნებიან ყველაფერმა კარგად ჩაიარა) მართლა ვღელავდი. რომ მეკითხებოდნენ, ხომ არ ნერვიულობო, დიახ ვნერვიულობ მეთქი. შორს მიმავალ გეგმებს არ ვსახავ. არ ვიცი მომავალში რა იქნება. მინდა, მუშაობა გავაგრძელო უსინათლოთა განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამჟამად ორ თემაზე ვმუშაობ: „უსინათლოთა განათლების ისტორია საქართველოში“ და „უსინათლოსთან ქცევის ეთიკა საგანმანათლებლო გარემოში",- ამბობს ზაზა ადანაია.

„1978 წლის 14 აპრილი“ – წიგნი ქართული ენის დაცვის ისტორიისთვის

14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამომცემლობა „არგანუჯის“ მიერ გამოცემული წიგნის: „1978 წლის 14 აპრილი“ – პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის ავტორი თსუ კურსდამთავრებული მკვლევარი ანა ბაქანიძეა.

წიგნი ასახავს 1978 წელს თბილისსა და ბათუმში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად განვითარებული მოვლენების ისტორიას. კვლევის ფარგლებში თავმოყრილია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, დისიდენტური მოძრაობის წევრთა, ტელეოპერატორთა თუ უბრალო მოქალაქეთა თვალით გაცოცხლებული 1978 წელი, ჯერ თბილისში, შემდეგ კი ბათუმში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად განვითარებული მოვლენების ისტორია.

ანა იხსენებს, რომ წიგნის შექმნის საჭიროება 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების შესახებ არსებულმა მწირმა ინფორმაციამ განაპირობა.

„ყველაფერი დაიწყო უნივერსიტეტში და უნივერსიტეტით. 2008 წელს, მაშინ, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, ჩემი ხელმძღვანელის – პროფესორ დარეჯან თვალთვაძის დავალებით საუნივერსიტეტო კონფერენციისთვის 1978 წლის 14 აპრილის შესახებ მოხსენება უნდა მომემზადებინა. მოხსენების მომზადების პროცესში მივხვდი, რომ ამ თემაზე არ არსებობდა რაიმე სახის კვლევა, საგანმანათლებლო რესურსი ან სხვა სახის მასალა, საიდანაც სრული ინფორმაციის მიღებას შევძლებდი... ჩემმა თაობამ ერთი შეხედვით იცოდა 14 აპრილს განვითარებული მოვლენების ისტორია, თუმცა ეს ცოდნა ჩემ შემთხვევაში ზედაპირული იყო. მაშინ გადავწყვიტე, რომ აღნიშნული მოვლენის შესახებ ზეპირი ისტორიები შემეგროვებინა და ამ ისტორიების საფუძველზე 2012 წელს პირველი წიგნიც გამოიცა, რომლის პრეზენტაცია ასევე უნივერსიტეტში შედგა. პრეზენტაციაზევე ითქვა, რომ კვლევას გავაგრძელებდი და 1978 წლის მოვლენებიდან 40 წლის თავზე წიგნის უფრო სრულ ვერსიას წარვუდგენდით საზოგადოებას. ამ იდეის განხორციელება გამომცემლობა „არგანუჯის“ და ისტორიკოს ბუბა კუდავას მეშვეობით გახდა შესაძლებელი,“- იხსენებს მკვლევარი.

ანას თქმით, კვლევის პროცესში პრობლემას ქმნიდა ის, რომ საარქივო მასალების დიდი ნაწილი გამქრალია. ვერ აღმოაჩინეს 14 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტო ან ვიდეო-მასალები, რაც ასევე ართულებდა კვლევის პროცესს. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ხელმძღვანელობის დახმარებით, არქივში ძალიან საინტერესო საარქივო მასალები აღმოაჩინეს.

„აქვეა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოვიძიეთ: 1978 წელს კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვის პროცესში საზოგადოების მიერ საქართველოს სსრ საკონსტიტუციო კომისიის წევრებისადმი გაგზავნილი წერილები და საპროტესტო მიმართვები, ასევე რესპონდენტთა პირად კოლექციებში დაცული ფოტომასალები.

ჩემი პირველი რესპონდენტი ქალბატონი დარეჯან თვალთვაძე გახლდათ, შემდეგ უკვე უნივერსიტეტის სხვა პროფესორები, რომლებიც 1978 წელს ისტორიის ან ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ან ლექტორები გახლდნენ. მათ შორისაა: ლადო მინაშვილი, დამანა მელიქიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ნანა მაჭავარიანი, რევაზ აბაშია და სხვები. მათი ისტორიების საფუძველზე შეიმნა წიგნი და მათი მეშვეობით შევძელი სხვა რესპონდენტებთან დაკავშირებაც.

წიგნი ეძღვნება 1978 წელს საქართველოში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად განვითარებულ მოვლენებს. ეს არის უმნიშვნელოვანესი თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში, როცა მოსახლეობამ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, 1956 და 1989 წლებისგან განსხვავებით, ყოველგვარი დანაკარგებისა და მსხვერპლის გარეშე შეძლო საკუთარი ეროვნული ღირსების დაცვა. 1978 წლის აპრილში ქართული ენის დასაცავად სტუდენტების მიერ დაწყებულმა საპროტესტო მოძრაობამ ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, ფაქტობრივად, მისი ახალი ეტაპის დაწყებას.

ვფიქრობ, ეს იყო უჩვეულო მოვლენა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში, ეპოქაში, როცა არათუ საპროტესტო აქციის მოწყობა, ხელისუფლების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ „ჩურჩულიც“ კი გასაკვირი და აკრძალული იყო.

სწორედ ამ მოვლენებს ეძღვნება წიგნი, რომელიც გამომცემლობა „არგანუჯის“ მეშვეობით და თბილისის მერიის მხარდაჭერით გამოიცა. წიგნს თან ერთვის 1978 წელს კონსტიტუციის ახალი პროექტის განსახილველ კრებებზე ქართველ მწერალთა და მეცნიერთა თამამი საპროტესტო გამოსვლები აღნიშნული პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

წიგნს ასევე ახლავს ფილოლოგ თინათინ ბოლქვაძის სტატია, რომელშიც განხილულია, თუ როგორ აისახა 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები ამერიკულ პრესაში და ისტორიკოს დმიტრი შველიძის წერილი. მასში აღნიშნული მოვლენების ისტორიული შეფასებაა წარმოდგენილი.

14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წიგნთან ერთად ანა ბაქანიძის დოკუმენტური ფილმის ჩვენებაც გაიმართა. ფილმში მოკლედაა წარმოდგენილი ის მასალები, რომელთაც წიგნში უფრო სრულყოფილად გაეცნობა მკითხველი.

„ფილმში გამოყენებულია საარქივო მასალები, ფოტოები და 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების მონაწილეთა ინტერვიუები. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, რომელთა მხარდაჭერითაც შევძელით ამ პროექტის განხორციელება. ცხადია, ფილმს სხვა ეფექტი და ხიბლი აქვს, წიგნს – სხვა. ფილმის საჯარო ჩვენება წიგნის წარდგენამდე მოვაწყვეთ, ჩვენი მიზანი იყო ყველასთვის კიდევ ერთხელ, მოკლედ შეგვეხსენინა თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები 1978 წლის 14 აპრილს..

უნივერსიტეტში 2005 წელს ფილო-ლოგიის ფაკულტეტზე ჩავბარე, კავკასიური ენების სპეციალობით. სკოლაში სწავლის პერიოდში, ყოველთვის, როცა სწავლის გაგრძელებაზე და უმაღლეს სასწავლებელზე ვფიქრობდი, ჩემი მომავალი უნივერსიტეტთან ასოცირდებოდა, არასოდეს, არც კი განმიხილავს სხვა სასწავლებელში სწავლის შესაძლებლობა. საბედნიეროდ, გამიმართლა. წარმოშობით გურიიდან ვარ, ჩემთვის და სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ჩემი კურსელებისთვის, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი სახლიც იყო და სასწავლო შენობაც, დღესაც, დედაქალაქში მრავალწლიანი ცხოვრების, სწავლის და მუშაობის შემდეგ უნივერსიტეტზე უფრო „ახლობელი“ დაწესებულება თბილისში არ მეგულება..

ანა მომავალში 14 აპრილის თემაზე მუშაობის გაგრძელების გარდა, ომამდელი აფხაზეთის შესახებ მისი კვლევის ამსახველი წიგნის გამოცემას გეგმავს.

უცხოელი სტუდენტები უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

თუ რა იცის ხალხმა აქ სასუქის გამოყენებაზე, ახლა მარნეულში აგარებს. „ჩამოსვლამდე მესმოდა, რომ ყველა ძალიან თავაზიანი და ყურადღებიანი იქნებოდა. თსუ-ში მართლაც ძალიან მეგობრული პროფესორები არიან. ჩემი კვლევის დასრულების შემდეგ ბათუმში, ქუთაისში, მესტიაში, და გრემის მონასტერის ნახვას ვაპირებ. შეიძლება სომხეთშიც წავიდე“, – ამბობს ანიკა.

საარა მილდებერგი ტარტუს უნივერსიტეტიდან, კულტურული კვლევების ინსტიტუტს წარმოადგენს. თსუ-მდე ჰააგის ხელოვნების სამეფო აკადემიაში, ნიდერლანდებში და გოტინგენის უნივერსიტეტში, გერმანიაში იყო მსგავსი პროგრამით.

„ჩემი სამშობლოსა და მაღალი მითების ქვეყანას (საქართველოს) შორის ურთიერთობა დაახლოებით მე-19 საუკუნიდან შეიძლება ავთვალოთ, როდესაც ემიგრანტებმა ესტონეთიდან სოფელი ჩამოაყალიბეს აფხაზეთში (ამ დასახლების შესახებ თანამედროვე თაობის მეხსიერებაში ცოდნა ქართულ-ესტონური ფილმის „მანდარინების“ მეშვეობით აღიბეჭდა). ესტონელები, რომლებიც საქართველოს სტუმრობენ, ხშირად იხსენებენ ასევე კავშირს, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში გაბიარებული, საერთო წარსულის სახით არსებობს.

„პირველად საქართველოს 2007 წელს ვეწვივე, როდესაც მე და ჩემი და, მამამ ტურისტული ტურით წამოგვიყვანა მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2013 წელს ახალგაზრდული პროექტის ფარგლებში ბათუმის ახლოს ვიმყოფებოდი. შემდეგ კიდევ ერთხელ თბილისის ახლოს 2017 წელს. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემს გონებაში ორი პარალელური საქართველო ჩამოყალიბდა. ერთი მე-19 საუკუნის ძველი თბილისის, რეგიონებში არსებული ეკლესიებისა და რუსულად მოლაპარაკე უბრალო ხალხის სახით. მეორე კი – ქალაქი ჯუნგლია, ინგლისურის მცოდნე ახალგაზრდების ეკლექტური კომპანიის სახით, რომლებიც თავს ჰიპსტერულ სივრცეში ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. შესაბამისად, ძალიან დავინტერესდი ამ ტრანსფორმირებადი საზოგადოებით. თსუ-ში (ერაზმუს პლუსის ფარგლებში ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტში) სხვადასხვა ფაკულტეტზე გავდივარ რამდენიმე კურსს: კულტურა და იდენტობა ცვალებად საზოგადოებაში, მოსახლეობა და ევროკავშირის განვითარება, ქართული მითოლოგია და ქართული ენა. „რასაკვირველია, მხოლოდ თსუ-ს იმ ინგლისურენოვანი პერსონალის წარმომადგენლებზე შემიძლია საუბარი, ვისაც შევხვდი. თსუ-ს კორპუსების არ იყოს, თითოეულს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, რაც სწავლებას აღმაფრთოვანებელ მოგზაურობად აქცევს. ჩემი ხანმოკლე ყოფნის პერიოდში დროის ჭკვიანურად გამოსაყენებლად გადავწყვიტე ადგილობრივ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციაში ჩავერთო, ვფიქრობ ყველა გაცვლითი სტუდენტი მსგავს რამეს აკეთებს, მოგზაურობს ქვეყნის მასშტაბით, მისი ბუნების, ხალხის და კულტურის სანახავად თუ შესასწავლად“.

ჰუმილელდ ჰალვინიც ტარტუს უნივერსიტეტიდანაა, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს. საქართველოში რამდენიმე წლის წინ იმოგზაურა და მას შემდეგ, ეს მისი საყვარელი ადგილია. კიდევ უფრო ადრე საქართველოს შესახებ მას მეგობრები უყვებოდნენ, რომლებმაც აქ იმოგზაურეს და ცნობისმოყვარეობაც გაუღვივეს. როდესაც მისი უნივერსიტეტისა და თსუ-ში თანამშრომლობის ფარგლებში ამ პროგრამის შესახებ შეიგყო, ძალზე მოხარული იყო და განაცხადიც შეავსო. უნდოდა საკუთარი თვალით ენახა, როგორი იყო აქ სწავლა და ცხოვრება, ქართულ კულტურასთან უშუალო კავშირისას. ტარტუში ხელოვნებას და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს სწავლობს, თსუ-ში ქართულ და რუსულ ენებს, მითოლოგიას, ეთნოგრაფიას და ფოლკლორს.

თომას კაივოლა, ფინეთიდან ეკონომიკას სწავლობს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში. „ვიცოდი, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სადმე მინდოდა სასწავლებლად წასვლა. მანამდე ბევრ ევროპულ ქვეყანაში ვიყავი და ევროკავშირის წევრი ქვეყნები იმდენად საინტერესოდ არ მეჩვენებოდა. რაღაც განსხვავებულის ნახვა მსურდა. საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი და მინდოდა მეტი გამეგო. საზოგადოებრივ ეკონომიკაში და მოწინავე ეკონომეტრიაში გავდივარ კურსებს. თსუ არაჩვეულებრივია, არანაირი პრობლემა არ შემქმნია ჩამოსვლის დღიდან. ფაკულტეტის წარმომადგენლები პროფესიონალები არიან, მათთან ურთიერთობა, თუ რაიმე კითხვა გამიჩნდა, ძალიან მარგივია. მინდა უახლოეს პერიოდში ბათუმი და ბორჯომი ვნახო“, –ამბობს იგი.

24 წლის სტაფანო ესპოზიტო ბოლონიის უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერებებათა მაგისტრის ხარისხის დასაცავად სწავლობს „გლობალურ განვითარების საკითხს“. საქართველომდე ის გაცვლითი პროგრამით რუმინეთში, 5 თვის განმავლობაში სწავლობდა. სწორედ ამის შემდეგ გაუჩნდა სხვა ქვეყნების შესწავლის სურვილი.

„ამ არაჩვეულებრივ ქვეყანაში პირველად ვარ. მინდოდა მოვხვედრილიყავი განსხვავებულ ქვეყანაში, სასურველია, ევროპულ საზღვრებს გარეთ. ჩამოსვლამდე აღმოვაჩინე, რომ იქ ვისწავლიდი, საიდანაც დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფიგურა, სტალინი იყო. თსუ ძალიან კარგი უნივერსიტეტია. აქ ცდილობენ რაც შეიძლება მეტ უცხოელ სტუდენტთან ჰქონდეთ ურთიერთობა. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ორივე მხარისთვის, რადგან საშუალებას იძლევა აღმოაჩინო სხვა კულტურა და შეიძინო ახალი მეგობრები. გარდა ამისა, აქაურ სტუდენტებს ეს საშუალებას აძლევს განსხვავებულ აზროვნებას შეეჩვიონ. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველო საოცარი ქვეყანაა, მაგრამ მისი განსაკუთრებულობის და სილამაზის უკეთ შესაცნობად კომფორტის იმ ზონიდან გამოსვლაა საჭირო, რასაც დედაქალაქი გთავაზობს“, –ფიქრობს სტეფანო.

ნიკოლეტა დრაგიჩმა ბუქარესტის უნივერსიტეტიდან საქართველოს შესახებ ის იცოდა, რომ ღვინისა და ჩაის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაში არაჩვეულებრივი ბუნება და თბილი ხალხია. „აქ იმიგომ ჩამოვედი, რომ საქართველო, რუმინეთის მსგავსად, განვითარებადი ქვეყანაა და მინდა შედარებითი სოციალური ანალიზი ჩავაგარო ჩემი სადიპლომო კვლევისთვის. თსუ-ზე ის ვიცოდი, რომ იგი საქართველოში უძველესი უნივერსიტეტია, რომელიც დაარსების პერიოდიდან, თავისი ფილოსოფიის სკოლით იყო ცნობილი. რუმინეთში საერთაშორისო მეცნიერებებს ვსწავლობ. საქართველოში კი ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მოსახლეობა და ევროკავშირის განვითარება, კვლევის დიზაინი, კულტურის ევროპული მოზაიკა, ქართული მითოლოგია, საჯარო პოლიტიკის ანალიზი და განვითარებადი ქვეყნები. თსუ-ში ყოფნა ძალიან მომწონს, რადგან ლექციები ძალიან საინტერესოა, მასწავლებლები კი საკითხებს კარგად განმარტავენ. ჩემს ერაზმუსის პროგრამის მეგობართან ერთად ბათუმში წავლის გეგმები მაქვს და ვფიქრობ, ძალიან საინტერესო მოგზაურობა მელის“, – ამბობს ნიკოლეტა.

საბავშვო უნივერსიტეტი და ადამიანები, ვინც მოსწავლეებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას აგზიარებს

პირველი გვერდიდან

ტებს, პროფესიული ორიენტაციის არჩევის საშუალება ეძლევათ. საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში გარკვევას ცდილობენ. ერთი და იგივე ბავშვი რამდენიმე სხვადასხვა ლექციას ესწრება, ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, ზოგი ჰუმანიტარულშიც კი.

ქიმიკოს ელიზა მარქარაშვილს საბავშვო უნივერსიტეტთან ასევე დიდი ხნის კავშირი აქვს. როგორც თავად ამბობს, 2005 წლიდან უფრო ინტენსიური. თავის ლექციებზე ის ბავშვებს ქიმიის საფუძვლებს ძირითადად სახალისო ლექციების, სახალისო ექსპერიმენტების საშუალებით აცნობს. მის ლექციებზე დასასწრებად კვირაში ორჯერ მოდიან, როგორც რაიონების, ისე თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. ელზა მარქარაშვილს სკოლის მოსწავლეებისათვის რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული, როგორც სასწავლო, ისე ქიმიაში სახალისო ლიტერატურის სახით. გარდა ამისა, წიგნები საყოფაცხოვრებო ქიმიის შესახებ. წიგნები როგორც სკოლის მოსწავლეებისათვის, ისე პედაგოგებისთვისაა.

„მიყვარს ბავშვებთან ურთიერთობა, რომელიც პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ალბათ, რაც ასაკი უფრო მომემატება, უფრო მეტად მიზიდავს. მინდა, ქიმიის ჩემეული სიყვარული ბავშვებსაც გადავცე. რთული ქიმია ასე ვთქვათ, უფრო მარტივად ვასწავლო“, – მიიჩნევს ქალბატონი ელიზა.

როგორც წესი, საბავშვო უნივერსიტეტი სხვადასხვა პროექტის მონაწილე მოსწავლეებს სერტიფიკატებს გადასცემს. თუმცა, სულ ცოტა ხნის წინ თავად საბავშვო უნივერსიტეტის ამ ლექტორებმა მიიღეს სერტიფიკატები, ისევ ქობულეთში გასვლისას.

„ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა ქობულეთში სკოლა „ფარნავაზში“. როგორც გაირკვა, ამ სკოლის მოსწავლეები ძალიან მოტივირებულები არიან და საკმაოდ კარგი ცოდნა აქვთ. გარდა ქიმიისა, ჩაატარეს რამოდენიმე ღონისძიება, სადაც გამოავლინეს კარგი ცოდნა ფიზიკაში, ბიოლოგიაში. ლექციები და კონკურსები იმდენად საინტერესო იყო, რომ ძალიან კმაყოფილები დავრჩით. ვფიქრობ ისინიც, რადგან ამ ლექციების შემდეგ მათგან სამახსოვრო სერტიფიკატები მივიღეთ,“-ამბობს ელზა მარქარაშვილი, რომელიც ამ სერტიფიკატებს იური პაპავასთან ერთად ერთერთ ყველაზე სასიამოვნო სიურპრიზად მიჩნევს თავის პრაქტიკაში.

ბავშვები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

პირველი გვერდიდან

რადგან „თსუ ბიბლიოთეკაში სკოლის მოსწავლეები ეცნობიან ჩემს ზღაპრებს. მოხარული ვიქნები თუ ყველა იმრუნებს ბავშვებსა და მათი განათლების განვითარებაზე. ეს იმის წინაპირობაა, რომ ისინი განავითარებენ მეცნიერებას, ლიტერატურას და, შესაბამისად, ქვეყანას“.

თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, „წიგნის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა კვირეული, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეების სტუმრობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ეს პროექტი ხელს შეუწყობს წიგნისა და მკითხველის დაახლოებას. ამ აქციით შევეცდებით უფრო მეტად გავუღვივოთ მოსწავლეებს წიგნისადმი სიყვარული“.

ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ. „დღევანდელი დღე და ზღაპარი განსაკუთრებით მომეწონა, ხშირად არ იმართება ასეთი კარგი ექსკურსიები და საღამოები მოსწავლეებისთვის, ამ დღეს აუცილებლად შევიგან ჩემს დღიურში. მე ვაპირებ ჩემი საყვარელი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის ერთ-ერთი ნაწარმოების მთავარი გმირის - მადიკენის დახატვას“, – განაცხადა სკოლა „არქიმედეს“ მოსწავლემ მარიამ კვიტაშვილმა.

ღონისძიებათა ციკლის პირველ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კერძო სკოლა „არქიმედეს“ მოსწავლეებს უმასპინძლა.

სასწავლო კურსები თსუ უწყვეტი განათლების ცენტრისგან

კულინარიული ტურიზმი

კურსი განკუთვნილია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის და მისი მიზანია მსმენელებს გააცნოს გლობალიზაცისდა გლოკალიზაციის გავლენა კულინარიული ტურიზმის განვითარებაზე; შეასწავლოს ტრაპეზის არსი და ტრაპეზისკულტურა, მისი მნიშვნელობა სხვადასხვა რელიგიური რწმენისა და კულტურის ადამიანებისათვის; კვების კულტურისსაკითხები ბიბლიის მიხედვით; შეასწავლოს კულინარიული ტურიზმის პოპულარიზაციის ინსტრუმენტები, მისი სეგმენტაციადა სახეები; კულინარიული ტურიზმის ტიპოლოგია; გააცნოს ყველის და ღვინის ფენომენი ტურიზმში, ქართულიყველის და ღვინის ფენომენი და მათი საერთაშორისო პოტენციალი; გააცნოს ქართული გასტრონომიული კულტურისგანვითარების გზები, ქართული გასტრონომიული კულტურა, როგორც შეუსწავლელი სფერო; ქართული სამზარეულოსმთავარი ნიშანი, ქართული სუფრის ფენომენი , რიტუალური კერძები ქართულ სამზარეულოში.

სამიზნე ჯგუფი: ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელსაც აქვს აღნიშნული მიმართულებით ცოდნის მიღებისსურვილი, როგორც მომხმარებელს (ტურისტს) და როგორც მწარმოებელს (კულინარიული ტურიზმის ბიზნესი) ასევე,გიდებს, კვებითი მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს და ა. შ.

ტრენერი: დალილა ცაგავა
კურსის მოცულობა: 18 საათი
სწავლების ენა: ქართული
კურსის ღირებულება: 250 ლარი

შრომის სამართლისა და პერსონალის მართვის აქტუალური საკითხები

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კერძო და საჯარო სექტორში მომუშავე პირები; ადამიანური რესურსების მართვის სფეროში დამწყები და მოქმედი მენეჯერები / სპეციალისტები და სხვა დაინერესებული პირები.

შრომის სამართლის ტრენინგის მიზანია:

• აამაღლოს ტრენინგის მსმენელების ცოდნა და ცნობიერება შრომითი ურთიერთოების სამართლებრივი ნორმების შესახებ.

• ტრენინგი მიზნად ისახავს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ განხილვას და მასში უკანასკნელ პერიოდში შეტანილ ცვლილებებზე მსმენელისათვის ინფორმაციის მიწოდებას. წარმოდგენილი ანალიზი და პრობლემების ერთობლივი განხილვის შესაძლებლობა, რომელსაც იძლევა ტრეინინგი, საფუძველია იმ ვარაუდის, რომ დასასრულს მსმენელი შეძლებს შრომის სამართლის სფეროში მოქმედი კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტების სისტემურ აღქმას, წარმოდგენა შეექმნება ან გაიღრმავებს ცოდნას ნორმათა შინაარსისა თუ მიზნების თაობაზე, შეიძენს მოთხოვნათა ფორმირების სამართლებრივი საფუძვლების შერჩევისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევას.

• ტრენინგის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობაზე, რომელიც გავლენას ახდენს შრომის სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სწავლის შედეგად:

• ეცოდინებათ როგორ დაიცვან დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები;

• ექნებათ გაცნობიერებული ცოდნა შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი ნორმების შესახებ, რაც გულისხმობს შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებას და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;

• შეეძლებათ ტრენინგზე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის სახით.

სწავლის პროცესი ძირითადად წარიმართება ლექციისა და დისკუსიის ფორმით. მსმენელებს ასევე მიეწოდებათ კითხვარები და დამატებითი მასალა, პრაქტიკული სავარჯიშოებისათვის.

კურსს უძღვება – თორნიკე კაპანაძე (თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი)
კურსის მოცულობა – 6 საათი (2-2 საათიანი 3 სესია).
კურსის ღირებულება – 70 ლარი
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ თსუ უწვეტი განათლების ცენტრში: ტელ.: 222 36 52, email: tsulll@tsu.ge
Facebook: თსუ უწყვეტი განათლება - TSU LLL

ზოგადი მენეჯმენტი

კურსი განკუთვნილია მენეჯმენტის საკითხებით დაინტერესებულ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ გარკვეული ცოდნა მენეჯმენტის პრინციპების შესახებ და სურთ არსებული ცოდნის გაღრმავება.

კურსის მიზანია მსმენელებს დაეხმაროს მენეჯერული საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება-გამომუშავებაში, გაუღრმავოს ცოდნა ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპები და კონცეფციები; ორგანიზაციული კულტურა და განვითარება; დაგეგმვის პროცესების ორგანიზაცია; ორგანიზაციული სტრუქტურების დაპროექტების საკითხები; ლიდერობა და მართვის სტილი; მოტივაციის სტრატეგიები; გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და მოდელები; დროის ეფექტური მართვის კონცეფციები და ტექნიკა; ჯგუფური დინამიკა და საქმიანი კომუნიკაციები.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელს ეცოდინება:

• თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპები და კონცეფციები:
• დაგეგმვის, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები;
• ორგანიზაციული სტრუქტურების დაპროექტების სპეციფიკა;
• დროის ეფექტურად მართვის ტექნიკა;
• მოტივაციის სტრატეგიები და მათი განხორციელების მეთოდოლოგია;
• გუნდური მართვის პრინციპები და კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიები;
• საქმიანი კომუნიკაციების წარმართვის სპეციფიკა.

მსმენელი შეძლებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას :

• არგუმენტირებული მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებას, თანამშრომლებამდე დაყვანასა და ეფექტიან აღსრულებას;

• ცალკეული ორგანიზაციული პროცესების დაგეგმვას, დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებზე ორიანტაციით;

• დინამიკურად ცვალებად გარემოში ლიდერის ფუნქციის შესრულებას, მართვის ადექვატური სტილის არჩევასა და მოტივაციის პროცესების ეფექტიან წარმართვას;

• ორგანიზაციაში გუნდური მართვის პრინციპების მხარდაჭერას, მის ინიცირებას და ჯგუფური დინამიკის პროცესების ორგანიზაციის სასარგებლოდ წარმართვას;

• პირადი და სამუშაო დროის ეფექტიან განაწილებას;

• საქმიანი კომუნიკაციის პროცესების დაგეგმვას და რეალიზაციას;

მსმენელი შეძლებს: გაერკვეს ორგანიზაციაში მიმდინარე მენეჯრულ პროცესებში, მოახდინოს მათი მარტივი კრიტიკული ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებები. ხელი შეუწყოს ორგანიზაციაში კონფლიქტური გარემოს დეადგივაციას, მენეჯერული კულტურის ამაღლებას და იზრუნოს გუნდური მუშაობის პრინციპების პოპულარიზაციაზე.

კურსს უძღვება – ვასილ კიკუტაძე (თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)
კურსის მოცულობა: - 12 საათი;
კურსის ღირებულება: - 150 ლარი;
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ თსუ უწვეტი განათლების ცენტრში: ტელ.: 222 36 52, email: tsulll@tsu.ge
Facebook: თსუ უწყვეტი განათლება – TSU LLL

სურსათის უვნებლობა ბიზნეს-ოპერატორებისთვის

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: სასწავლო კურსი განკუთვნილია ბიზნეს-ოპერატორებისთვის და სურსათის მიმოქცევის სხვადასხვა ეტაპზე დაკავებული პერსონალისთვის, სურსათის უვნებლობის რეფორმით დაინტერესებულ ფოკუს-ჯგუფებში შემავალი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. ასევე, იმ მომჯნავე სფეროებში მომუშავე პირებისათვის, რომელთაც თავიანთი საქმიანობიდან ან სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარე აქვთ დაინტერესება აღნიშნული პროგრამის გავლისა ან/და საჭიროებენ დაადასტურონ თავიანთი კომპეტენციები სურსათის უვნებლობის სფეროში.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. დამატებითი მოთხოვნაა-მინიმალური ასაკი 18 წელი.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: კურსის მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე შეძლებენ დაიცვან სურსათის უვნებლობის უზრუნველმყოფი პრინციპები, წესები და პროცედურები თავიანთი პრაქტიკული საქმიანობების განხორციელებისას, როგორც სურსათის გადამამუშავებელ საწარმოებში, ასევე სადისტრიბუციო ობიექტებსა და ცხოველური, თუ მცენარეული წარმოშობის სურსათის პირველადი წარმოებისას. შეძლებენ შეაფასონ სურსათის უვნებ-

მე-4 გვერდზე

სასწავლო კურსები თსუ უწყვეტი განათლების ცენტრისგან

მესამე გვერდიდან

ლობაზე მემომქმედი საფრთხეები; გაათვითცნობიერონ შესაფუთი მასალებისა და ტარის მნიშვნელობა და როლი სურსათის უვნებლობის უმრუნველსაყოფად; ხელი შეუწყონ კარგი ჰიგიენის პრაქტიკის განხორციელებას, სწორად აწარმოონ სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია და განახორციელონ ჩანაწერები; სწორი წარმოდგენები ჰქონდეთ სურსათის ხარისხსა და ფალსიფიკაციაზე, იცოდნენ სსხვადასხვა ჯგუფის სურსათის მიმართ დადგენილი ნორმატივები; ზოგადი წარმოდგენები იქონიონ სურსათის უვნებლობის მართვის სისტემებსა და სტანდარტებზე.

კურსის მოცულობა: 15 სთ.

კურსის ღირებულება: 50 ლარი

სურსათის უვნებლობა და საინსპექციო კონტროლი

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: კურსის სამიზნე ჯგუფს შესაძლოა წარმოადგენდნენ როგორც დიპლომირებული, ასევე ზოგადი განათლების მქონე პირები, ან მომუშავენი პროფესიების ადამიანები, რომელთაც თავიანთი საქმიანობიდან ან სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარე აქვთ დაინტერესება აღნიშნული პროგრამის გავლისა ან/და საჭიროებენ დაადასტურონ თავიანთი კომპეტენციები სურსათის უვნებლობის სფეროში.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. დამატებითი მოთხოვნაა-მინიმალური ასაკი 18 წელი.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: კურსის მიზანია მოამზადოს სურსათის უვნებლობის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეაფასონ სურსათის უვნებლობის უზრუნველმყოფი ძირითადი ფაქტორები და პრინციპები და განახორციელონ საინსპექციო კონტროლი სურსათის მიმოქცევის სხვადასხვა ეტაპზე.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელი შეიძენს:

1. ცოდნას სურსათთან ასოცირებულ საფრთხეებზე; სურსათის უვნებლობის უზრუნველმყოფ ძირითად საკანონმდებლო მოთხოვნებზე; სურსათში ნორმირებას დაქვემდებარებულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ ფაქტორებზე; სურსათის ხარისხსა და ხარისხის მართვის ინსფრასტრუქტურაზე; სხვადასხვა ჯგუფის სასურსათო პროდუქციის პრიორიტეტულ დამბინძურებლებზე და მათი წარმოებისა და გადამუშავების თავისებურებებზე; სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედ ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ უფლებამოსილებებზე; სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემებზე; სურსათის ბიზნეს-ოპერატორებზე კონტროლის განხორციელების ფორმებსა და მეთოდებზე.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს: მსმენელი შეძლებს მიღებული ცოდნა სურსათის უვნებლობის შესახებ, სურსათის უვნებლობაზე საინსპექციო კონტროლის განხორციელების წესისა და პროცედურების, ასევე სურსათის უვნებლობაზე საინსპექციო კონტროლისას განსახორციელებელი გამოკვლევებისა და შემოწმებების შესახებ გამოიყენოს პრაქტიკაში და განახორციელოს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს-ოპერატორების საინსპექციო კონტროლი.

3. შეფასებისა და დასკვნის უნარს: შეძლებს შეაფასოს სურსათის ბიზნესოპერატორის ფაქტიური მდგომარეობის დადგენილ ან ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობა, ამოიცნოს კრიტიკული და არაკრიტიკული შეუსაბამობები და მათი გამომწვევი ფაქტორები, ბიზნეს-ოპერატორს მიაწოდოს შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები.

4. სწავლის უნარს: მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

5. კომუნიკაციის უნარს: შეეძლება კომუნიკაციის დამყარება ბიზნეს-სუბიექტებთან, ამ სფეროში მოღვაწე და დაინტერესებულ სუბიექტებთან; ასევე შეიძენს სხვისი საუბრის მოსმენის, გააზრებისა და საჭიროებისას დაბუსტების უნარს, თავის საქმიანობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს.

კურსის მოცულობა: 87 საკონტაქტო საათი.

კურსის ღირებულება: 300 ლარი.

სპორტული ნუტრიციოლოგია და კანონმდებლობა

კურსის მიზანია: დამატებითი ცოდნის მოპოვება სპორტული მედიცინის ნუტრიციოლოგიის და ამასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულირებაში კომპეტენციის შესაძენად, რომელიც მსმენელს საშუალებას მისცემს მიღებული ცოდნა გამოიყენოს სპორტულ შეჯიბრებებში ჩართული ათლეტების წვრთნების დროს, ასევე, მოყვარულებისთვის, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ფიზიკური მონაცემების გასაუმჯობესებელი საშუალებების მართლზომიერი მოხმარებისთვის.

სწავლების შედეგები: კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ მიღებული ცოდნა მსმენელს დაეხმარება თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საბაზისო პრინციპების გამოყენებისთვის სპორტული წვრთნებისას და ზოგადად სპორტულ მედიცინაში. ასევე საკანონმდებლო რეგულაციის მექანიზმების ათვისებაში.

პროგრამა უზრუნველყოფს, რათა მსმენელმა გამოავლინოს კომპეტენტურობა სპორტულ ვარჯიშთან დაკავშირებულ ნუტრიციოლოგიისა და ჰიდრატაციის ასპექტების ცოდნაში.

მსმენელი შეიძენეს უნარ–ჩვევებს იმისთვის, რომ დამოუკიდებლად მართოს სპორტული დატვირთვის რეჟიმი, მოახდინოს დაკვირვება და მონიტორინგი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შესაძლო ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკის თავიდან აცილების მიზნით. ამისათვის სწორად წარმართოს კვების რეჟიმი ენერგეტიკული ხარჯვის შესაბამისად.

კურსს უძღვება: თამარ ჩაჩიბაია - ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ექიმი ენდოკრინოლოგი.

სწავლების ენა: ქართული.

კურსის მოცულობა: 18 საათი

კურსის ღირებულება : 120 ლარი; თსუ-ის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის: 100 ლარი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ თსუ უწვეტი განათლების ცენტრში: ტელ.: 2 22 36 52, email: tsulll@tsu.ge

Facebook: თსუ უწყვეტი განათლება – TSU LLL

სტუდენტური პროექტი „პლანეტა რიდმორი“ დაიწყო

27 მარტიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიური სტუდენტური პროექტი „პლანეტა რიდმორი“ დაიწყო. პროექტის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით და მას უნივერსიტეტი და გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ ერთობლივად ახორციელებენ.

პროექტის ძირითადი ტურების დაწყებამდე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილობა მიიღონ ონლაინ მინი კონკურსში „კოსმოსური ოდისეა ელექტრომობილით“. კონკურსანტებს ევალებათ ტესლას ხელმძღვანელის ილონ მასკის იდეით კოსმოსში გაშვებული მანქანის მსგავსი ლურჯი მობილისთვის სამი გზავნილის მოფიქრება: ერთი ნივთი, ერთი ტექსტური შეტყობინება და ერთი აუდიოფაილი. კონკურსის გამარჯვებულს გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ და უნივერსიტეტი სპეციალურ პრიზებს გადასცემს. მინი კონკურსში დარეგისტრირებული კონკურსანტი ავტომატურად ძირითადი კონკურსის მონაწილეც ხდება.

„ტრადიციული და საკმაოდ საინტერესო პროექტია, ძალიან კარგი ფორმატია. კონკურსის წლევანდელ მონაწილეებს საინტერესო დავალება აქვთ – ილონ მასკის მსგავსად გზავნილები გააგზავნონ კოსმოსში. კონკურსის მონაწილეებმა წიგნები უნდა წაიკითხონ. ეს კონკურსი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მომავალი წლიდან მისი გეოგრაფია გაიზრდება და მასში მონაწილეობა სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შეეძლებათ“, – განაცხადა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

გამომცემლობის „წიგნები ბათუმში“ დამფუძნებლის მარი კორინთელის თქმით, „წლევანდელი პროექტი უფრო მასშტაბური იქნება. თუნდაც იმიგომ, რომ პრიზებია წინა წლებისგან განსხვავებული. გამარჯვებული გაემგზავრება ევროპაში ტრენინგკურსებზე, მეორე და მესამე ადგილოსნებს ფულადი პრიზები გადაეცემათ. ამ პროექტს დამარცხებული არ ჰყავს, რადგან ყოველ კვირას მონაწილეებს მოუწევთ თითო წიგნის წაკითხვა, ანუ კონკურსიდან სარგებელს ყველა მონაწილე მიიღებს“.

სტუდენტური პროექტის „პლანეტა რიდმორის“ მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება. კონკურსში ჩართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ. კონკურსანტები პროექტისთვის შერჩეულ 10 წიგნს წაიკითხავენ და სპეციალურად კონკურსისთვის მომზადებულ ტესტებს დაწერენ. კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი გამარჯვებული, რომლებიც გამომცემლობის მიერ დაწესებულ მთავარ პრიზებს მიიღებენ: პირველი ადგილის მფლობელი ევროპაში სასწავლო ტრენინგის საგზურით დასაჩუქრდება, მეორე ადგილზე გასული კონკურსანტი – 1000 ლარს, ხოლო მესამე ადგილოსანი – 500 ლარს მიიღებს.

შემეცნებითი კონკურსი ყოველწლიური პროექტია და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის უკვე მეოთხედ ჩატარდება. 2014-2015 წლებში პროექტის პარტნიორი გამომცემლობა „პალიტრა L“ იყო. სამი წლის განმავლობაში პროექტში მონაწილეობა 1800-მა სტუდენტმა მიიღო. პროექტის მსვლელობისას ფეისბუქ გვერდზე მიმდინარეობს ვიქტორინები და წამახალისებელი კონკურსები, წაკითხული წიგნების შესახებ იმართება საჯარო ლექციები და განხილვები.

სტუდენტური კონკურსი „მისია 2018“



სტუდენტური კონკურსი „მისია 2018“ დაიწყო. ჟიურიმ უკვე გამოავლინა 5 ფინალისტი გუნდი:

გუნდი „ერთი“ – „ახი წელი ერთ დღეში“, მარიამ წერეთელი, გიორგი ბარბაქაძე, იოსებ ტაბიძე (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)

გუნდი „ოსუპოლიკი“ – „გაიცანი დედა უნივერსიტეტი“, ტარიელ ლომაია, გიორგი რუსაძე, მერაბ სამხარაძე, ლაშა ჯოჯუა, ნინო ლომიძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი).

გუნდი „მედიატორი“ – „ისტორიულ-შემეცნებითი ტური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, ელენე კაკაბაძე, მარიამ მოქია, ნინო უგრეხელიძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულეტი).

გუნდი „ფელიქს ფელიცისი“ – „აღმოაჩინე თსუ“, ანა მეგრელიშვილი, ნინო ჟღენტი, გიორგი ყარამაზანაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი).

გუნდი „ეგრეე“ – „თსუ 360-ით“, გიორგი ნადირაძე, ნანა ნადირაძე, ანანო ფერაძე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო, იურიდიული ფაკულტეტი).

ფინალისტები მიიღებენ მეორე ტურის დავალებას კონკურსის პარტნიორისგან “დირსი” და იბრძოლებენ გამარჯვებისთვის:

I ადგილი – 2500 ლარი

II ადგილი – 1500 ლარი

III ადგილი – 1000 ლარი

კონკურსი უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. წელს კონკურსის პარტნიორია კომპანია „ას ჯორჯია“, სამშენებლო ბრენდით „დირსი“.

„თსუ-ჰიუნდაის“ გადამწყვეტი გამარჯვება!

„თსუ-ჰიუნდაიმ“ საქართველოს საკალათბურთო „ა“-ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა და სუპერ ლიგის ლიცენზია მოიპოვა.

2012 წლის შემდეგ, ჩვენმა გუნდმა პირველად მოახერხა საქართველოს უმაღლეს საკალათბურთო ლიგაში დაბრუნება.

„თსუ-ჰიუნდაიმ“ ფინალური სერიის მე-4 მაგჩში 68:60-ით დაამარცხა „ტიგები“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ გაერთიანებულმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში მოახერხა გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება, გუნდი 2018-2019 წლების სეზონის სუპერლიგაში ითამაშებს.

გამარჯვებული გუნდისთვის განკუთვნილი „ა“ ლიგის საჩემპიონო დაფა „თსუ-ჰიუნდაელთა“ კაპიტანს, დავით აფხაზავას გადაეცა.

„თსუ-ჰიუნდაის“ წევრები სუპერლიგაში გადასვლის ნიშნად სპეციალური მედალიონებით კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა და გამგეობის წევრმა, ვლადიმერ ძიძიგურმა დაჯილდოვეს.

თსუ „გორდელა“ ჰარვარდის უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ანსამბლმა „გორდელა“ ჰარვარდის უნივერსიტეტში კონცერტი გამართა. დევისის ცენტრში გამართული კონცერტი ცნობილი ქართველი მუსიკოსის, შემოქმედებითი გაერთიანების „ლომისის“ გენერალური დირექტორის გია ბაღაშვილის მასტერკლასის „საქართველო: ღვინის და პოლიფონიის აკვანი“ თანხლებით მიმდინარეობდა.

როგორც თსუ „გორდელას“ წევრი ნათია ხმალაძე იხსენებს: „საოცარი ემოციებით დატვირთული იყო ეს ოთხი დღე. სანამ შევიდოდით შენობაში, სადაც კონცერტი უნდა ჩატარებულიყო უკვე გვცნობდა ხალხი აფიშიდან და დადებითად, ღიმილით გვხვდებოდნენ, ქუჩაშიც კი. რაც ძალიან გვახარებდა. იმ ფაქტიც, რომ აუდიტორია მთლიანად შეივსო ხალხით თვითონ ორგანიზატორებიც გაკვირვებული დატოვა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ჩვენც უზომოდ დიდი მონდომებით და მუხტით გავაკეთეთ ჩვენი საქმე. ამ წარმატებული ლექციის და კონცერტის შემდეგ, კიდევ უფრო ამაყნი ვართ ჩვენი ქართველობით.

ჰარვარდში დევისის ცენტრის მიწვევის საფუძველზე მოვხვდით დაინტერესება გამოიწვია ბატონი გია ბაღაშვილის სალექციო თემამ „საქართველო – ღვინისა და მრავალხმიანობის აკვანი“. ლექციასთან ერთად სურვილი ჰქონდათ ენახათ, რა დონით ახდენდა ფოლკლორი გავლენას ახალგაზრდების, სტუდენტების ცხოვრებაზე. მათ არჩევანი სწორედ თსუ „გორდელაზე“ გააკეთეს. ლექციამაც და საკონცერტო ნაწილმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. ლექციას და კონცერტს ესწრებოდნენ ჰარვარდის პროფესორები, სტუდენტები, უცხო ქვეყნის კულტურით დაინტერესებული პირები. და რა თქმა უნდა ქართველები, რომლებიც ემოციებს ვერ მალავდნენ. ორგანიზატორებმა წლის საუკეთესო ლექცია-კონცერტად აღიარეს, რაც ორმაგად საამაყოა. მინდა წარმატება მივულოცო ბატონ გიას, თსუ „გორდელას“, მის ხელმძღვანელს თამაზ მამალაძეს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს მივულოცავთ ჩვენთვის უსაყვარლეს კუთხეს რაჭას. ხოლო ცოტა შორს, სექტემბერში იგეგმება ჩვენი დიდი სოლო კონცერტი, განახლებული პროგრამით და შემადგენლობით. თარიღი ჯერ ზუსტად არ დადგენილა, მაგრამ სექტემბრის ბოლოს იქნება სავარაუდოდ“ – ამბობს ნათია.

თსუ-ში თბილისის საგუნდო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა

16 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისის საგუნდო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა. წელს ფესტივალმა 28 პროფესიულ გუნდს უმასპინძლა.

საქართველოში არსებულ პროფესიულ და ბავშვთა გუნდებთან ერთად ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის გუნდებმა. წელს შვიდი პროფესიული გუნდი ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან: ბორდოს უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდი „Le Choeur Voyageur“, კაუნასის გუნდი „Kamertonas“, ტალინის წმიდა კარლის ეკლესიის კამერული გუნდი „კანორუსი“, ფილიპინელთა ვოკალური ანსამბლი დუბაიდან, სოპოტის კამერული გუნდი “ჩონტინუო”, კამერული გუნდი “ჩანტამუს ერლინ”, Lიტტლე შინგერს ოფ რმენია. მონაწილეთა შორისაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდი.

თბილისის საგუნდო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი 2018 წლის 16 აპრილიდან 12 მაისის ჩათვლით იმართება. განსხვავებული ფორმატით ჩაგრდა 21 აპრილის საფესტივალო კონცერტი ივენთ ჰოლ ქარვასლაში – ქართული მუსიკა ზვიად ბოლქვაძესა და ქართული ესტრადის ცნობილ მომღერლებთან ერთად.

თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“ 2011 წელს თბილისის მერიის დაფინანსებითა და ხელოვნებათმცოდნე – მაია ჩაჩავას ინიციატივით დაფუძნდა.

2013 წლიდან, კი დაარსდა „თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“. რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ქორმაისტერი – არჩილ უშვერიძე.

მიმდინარე ფესტივალის თანადამფინანსებელია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად. ფესტივალის პარტნიორი და თანაორგანიზატორია საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი, ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით.

ფესტივალი უკვე მერვე წელია ტარდება და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა როგორც ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, ასევე საგუნდო მუსიკის მოყვარულთა შორის. მისი მიზანია ქართული საგუნდო საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება უცხოეთის საგუნდო კოლექტივებთან და მათი შემოქმედების გაცნობა ქართველი მსმენელისთვის.

თბილისის საგუნდო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალის საზეიმო დახურვა 12 მაისს, 19:00 საათზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge